საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 02

04 01 2013 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრუქტურული რეორგანიზაციის პროექტის შემმუშავებელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეორგანიზაციასთან დაკავშირებით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) მაკა კორძაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ზურაბ ბრაგვაძე - დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

გ) ნინო ტალიაშვილი - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

დ) გიორგი მიღდისელი - ეკონომიკური სამმართველოს უფროსი;

ე) ნინო მეგრელი - საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს უფროსი (კომისიის მდივანი).

2. დაევალოს კომისიას ცენტრის დებულების ახალი პროექტისა და საშტატო განრიგის შემუშავება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დადგენილი წესით შეთანხმება.

3. დაევალოს საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს (ნ. მეგრელი) ყველა დასაქმებულს პერსონალურად აცნობოს ცენტრის სტრუქტურული

რეორგანიზაციის გამო შრომითი ურთიერთობის შესაძლო შეწყვეტის თაობაზე, ასევე ამ ბრძანების ცეტრის ვებგვერდზე განთავსება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მაკა კორძაძე

ეროვნული საგანმანათლებლო ცენტრი - საგანმანათლებლო ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT - LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
202330566